

## II თავი

### საგანმანათლებლო პროგრამები

ბსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სრული ჩამონათვალი განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე (bsu.edu.ge) ფაკულტეტების მიხედვით (ვებგვერდის ველი „ფაკულტეტები“ - „საგანმანათლებლო პროგრამები“).

**ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის N37 დადგენილებით დამტკიცებულ** „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესში (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 10**) მოცემულია ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა და მოცულობა.

**ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა** მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს და ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა** მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს, ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

„**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის** მიზანია დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება და მისი უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი და უფლება ექნებათ მიღებული კვალიფიკაციით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დასაქმდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I-IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივი ჯგუფისა და დამატებით - V-VI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის ან ბუნებისმეტყველების მასწავლებლად. ამ პროგრამის კურსდამთავრებული, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სკოლის გარდა დასაქმებას შეძლებს სხვა საფეხურის/ტიპის სახელმწიფო, არასამთავრობო, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სტრუქტურებში.

**დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა** მოიცავს 360 კრედიტს, დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამა - 300 კრედიტს. დიპლომირებული მედიკოსის და დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

**სადოქტორო პროგრამა** 180 კრედიტის ოდენობით, წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, საიდანაც **60 კრედიტი** დაეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო დანარჩენი - სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. პროგრამა

მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და სრულდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან ბსუ-ში მოქმედებს **ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“**, რომელიც მოიცავს 180 კრედიტს და მიზნად ისახავს მოამზადოს მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე ქართული საგანმანათლებლო სივრცის საჭიროებებისა და გამოწვევების გადაწყვეტას საფუძვლად დაუდოს მეცნიერული კვლევები, ასევე, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის გამოცდილებისა და განვითარების გაზიარების კვალდაკვალ შეძლებენ ახალი ცოდნის შექმნას და მის საფუძველზე სერიოზული წვლილის შეტანას ქართული და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის განვითარების პროცესში.